ქედის მუნიციპალიტეტის „მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის“ კომუნიკაციის სტრატეგია

2022

სარჩევი

1. **შესავალი** 2
2. **ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დაყოფა, მოსახლეობის რაოდენობა** 3
3. **არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა და პანდემიური გამოწვევები** 3
   3.1 2020 -2021 წლებში განხორციელებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის მიმოხილვა 4
   - საპილოტე პროგრამა/ 2020 4
   - პროგრამის ლოგიკური განვითარება, მოქალაქეთა მზარდი ჩართულობა/2021 5
4. **იდენტიფიცირებული პრობლემები** 6
   4.1 საკანონმდებლო ბარიერები, დროში გაწელილი ნებართვები 6
   4.2 სახელმწიფო შესყიდვები, პროექტის განხორციელების რისკები 7
   4.3 ვერგანხორხციელებული პროექტები 7
   4.4 კომუნიკაციის ციკლის დარღვევა, ასათვისებელი თანამედროვე ტექნოლოგიები 7
5. **სტრატეგიის განხორციელების პრინციპები** 7
6. **სტრატეგიული მიმართულება, ხედვა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო** 8
7. **სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები** 9
   7.1 სტრატეგიული მიზანი 1 9
   7.2 სტრატეგიული მიზანი 2 9
   7.3 სტრატეგიული მიზანი 3 10
8. **SWOT ანალიზი** 11
   - ძლიერი მხარეები 12
   - სუსტი მხარეები 13
   - შესაძლებლობები 15
   - საფრთხეები 17
9. **სამიზნე აუდიტორია** 18
10. **არსებული საკომუნიკაციო არხები** 19
11. **საინფორმაციო კამპანია** 20
12. **საინფორმაციო კამპანიის წარმოების ეტაპები/ პასუხისმგებელი ორგანოების ვალდებულებები** 20
    12.1 პირველი ეტაპი - საინფორმაციო კამპანანიის დაგეგმვა 20
    12.2 მეორე ეტაპი - საინფორმაციო კამპანიის პროცესი 23
13. **საჭიროებები და რეკომენდაციები** 24
14. **ანგარიშგება, მონიტორიგნი და შეფასება** 25

1. შესავალი

ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგია განახლებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) **პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ - მხარდაჭერით,** ქედის მუნიპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიაზე მუშაობის ფარგლებში და აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მთავარი საკომუნიკაციო სტრატეგიის ნაწილს.

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ქედის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან უერთიერთობის განყოფილებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის“ რეკომენდაციები.

დოკუმენტზე მუშაობისას, ასევე, გათვალისწინებული იქნა 2020-2021 წელს ქედაში განხორცილებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილება, საინფორმაციო კამპანიით მიღწეული შედეგები, ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოწვევები, პროგრამის განხორციელებისას გამოვლენილი ხარვეზები და მონაწილე მხარეების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

პროგრამა „მოქალაქეთა თანამონაწილეობა ადგილობრივ ბიუჯეტირებაში“, ქედაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში დაინერგა და მისი მიზანია, **მოქალაქეთა მონაწილეობის ზრდა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.**

სტრატეგია მომზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერითა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, პროგრამის - „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში“ - ფარგლებში.

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას სტრატეგიის შინაარსობრივი მხარის სისწორესა და მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დაყოფა/ მოსახლეობის რაოდენობა

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დაყოფა შემდეგნაირად გამოიყურება: ცენტრი - დაბა ქედა, მუნიციპალიტეტი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ერთეულად და მასში 65 დასახლება შედის:

- დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული - 11 სოფელი;
- დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული - 7 სოფელი;
- ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული - 5 სოფელი;
- მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული - 9 სოფელი;
- დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული - 3 სოფელი;
- მერისის ადმინისტრაციული ერთეული - 7 სოფელი;
- ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული - 5 სოფელი;
- პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული - 4 სოფელი;
- ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული - 6 სოფელი;
- წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული - 7 სოფელი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით, ქედის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 16, 824 - ს.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტის საერთო მოსახლეობის 49.8 % ქალია, ხოლო 50.2 % - კაცი. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, ქედის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში კაცთა პროცენტული წილი მერყეობს 44%-დან 57%-მდე, ხოლო ქალთა პროცენტული წილი კი – 43 %-დან 56 %-მდე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014).

3. არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა და პანდემიური გამოწვევები

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგია თავდაპირველად 2019 წელს, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დადგენილების შესაბამისად, კავშირ „საქართველოს მედია-კლუბის“ (GMC) მიერ იქნა მომზადებული. აღნიშნული პროგრამა ქედის მუნიციპალიტეტში საპილოტედ 2020 წელს ინერგებოდა, შესაბამისად დოკუმენტი ამავე წელზე იყო გათვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ საპილოტე პროექტის დანერგვას პარალელურად თან ახლდა მსოფლიო ახალი დღისწესრიგი, პანდემია და ახალი კორონავირუსის COVID-19-ით

გამოწვეული სირთულეები, შეზღუდვები თუ რეგულაციები, პროგრამა შეიძლება ითქვას წარმატებით შედგა და ერთგვარ მაგალითად იქცა სხვა მუნიციპალიტეტებისათვისაც, რაც თამამად შეიძლება ითქვას, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მიერ დამდგარი კრიზისის ეფექტური მართვის შედეგია.

სამოქმედო გეგმის სწორად გადაწყობა, საკომუნიკაციო ფორმებისა თუ არხების სიტუაციური მორგება, შედეგზე ორიენტირება, გუნდურობა და მაღალი პასუხისმგებლობა - სწორედ ეს გახდა წარმატების ერთგვარი ფორმულა, თუმცა ამ პერიოდმა ნათლად აჩვენა რამდენად მნიშვნელოვანია ელექტრონული რესურსები და მასზე ხელმისაწვდომობა. ასევე, ის ხარვეზები, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტში დგას და პროგრამის განხორციელების პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორებია. აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ მოყვანილ თავებში ვრცლად მიმოვიხილავთ.

3.1 2020-2021 წლებში განხორციელებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის მიმოხილვა

- <u>საპილოტე პროგრამა/ 2020</u>

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა ქედის მუნიციპალიტეტში პირველად საპილოტედ, ტერიტორიული პრინციპით 2020 წელს დაინერგა. ბიუჯეტის მოცულობა 300 000 (სამასი ათას) ლარს შეადგენდა.

პროგრამა განხორციელდა დაბა ქედაში და დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში (რომელშიც სამი სოფელია გაერთიანებული - დოლოგანი, ჭალახმელა და ჭინკაძეები). ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, იმ დასახლებებში, რომლებშიც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა დაინერგა, ჯამში, 2 388 მცხოვრებია (681 კომლი). მათგან: დაბა ქედაში 1 640 ადამიანი (460 კომლი), ხოლო დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში - 748 ადამიანი (221 კომლი).

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ 2020 წელს პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე, მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, ახალი კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვები, რეგულაციები და წესები ამოქმედდა, პროგრამის განხორციელების დღის წესრიგი შეცვალა, თუმცა პროცესი არ შეწყვეტილა. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გადახალისდა სამოქმედო გეგმა, არჩეული იქნა შერეული საკომუნიკაციო ფორმები, ცვლილებები შევიდა კენჭისყრის პროცედურაში და ა.შ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, საინფორმაციო კამპანიისა და კენჭისყრის პროცედურის მორგება პანდემიურ ვითარებაზე. კერძოდ: მონაწილეობით ბიუჯეტის საბჭოს წევრების მიერ კარდაკარის კამპანიის არსებული რეგულაციების დაცვით წარმოება, საჯარო შეხვედრების როგორც პირისპირ (ვითარებიდან გამომდინარე), ასევე დისტანციურ

ფორმატში ორგანიზება. ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებდა ელექტრონული ხმის მიცემის სერვისს, მოქალაქეებს დისტანციურად რომ შესძლებოდათ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა, მიზნობრივი აღმოჩნდა ე.წ. ,,გადასატანი ყუთები", რომლის ფარგლებში, ადგილობრივებს შესაძლებლობა მიეცა სასურველი პროექტისთვის ხმა სახლიდან მიეცათ.

ხოლო, რაც შეეხება სტრატეგიაში მოცემულ საკომუნიკაციო არხებს, ამ პერიოდისთვის სრულად არ არის გამოყენებული, დარღვეულია მონიტორინგის სამფაზიანი ციკლიც და ფაქტობრივად არცერთი რეკომენდაცია არ არის აღსრულებული, რაც ლოგიკურად, შესაძლოა ფორსმაჟორული მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ იქნა გათვალისწინებული.

- <u>პროგრამის ლოგიკური განვითარება, მოქალაქეთა მზარდი ჩართულობა/2021</u>

2021 წლისათვის პროგრამის საკომუნიკაციო სტრატეგია არ განახლებულა. 2020 წლის გმოცდილების, მიღწეული შედეგების, მოსახლეობის მოთხოვნილების და თვითმმართველ ორგანოებში შექმნილი ხედვის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ პროგრამის ლოგიკური განვითარების მიზნით, გაზარდა როგორც სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფინანსური რესურსი, ასევე გეოგრაფიული არეალი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 950 000 ლარი, რაც მთლიანი ბიუჯეტის 8,45%-ს შეადგენდა და პროგრამის განხორციელება მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმა.

პროგრამას ამავე წელსაც მხარს უჭერდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და 2021 წლისათვის უკვე, პროგრამას ახორციელებდა GIZ-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ქედის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციურ დონეზე დანერგვის ხელშეწყობა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs goal 16) შესაბამისად", არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი", კონკურსის წესით შერჩეული 15 თემის მობილიზატორის ჩართულობით.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ქვემოდან ზემოთ მართვის პრინციპი ლოკალური პრობლემების მყისიერი დანახვისა და მისი ოპერატიულად გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა, რაც პროპორციულად მოსახლეობისგან წამოსული მზარდი ინიციატივების განხორციელებას ნიშნავს. თუ 2020-2021 წლბში განხორციელებულ პროგრამას სტატისტიკურ ჭრილში შევხედავთ, ადგილობრივ მოქალაქეებში ნამდვილად გაჩნდა განცდა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა რეალური

შედეგის მომცემია. ადგილობრივებში პოზიტიური განწყობა შექმნა ასევე პროგრამის სლოგანმა - **„გახდი თვითმმართველი!“**

მაგალითისთვის:

- **2020 წელს,** მოქალაქეთა უპრეცენდენტო ჩართულობა იყო კენჭისყრის პროცესში - მონაწილეობა მიიღო ჯამში 952 ადამიანმა, მათგან: დაბა ქედაში რეგისტრირებული ამომრჩევლების 54 %-მა, ხოლო დოლოგნის თემში 74%-მა;
- **2021 წელს,** კენჭისყრის პროცესში მონაწილეობა მიიღო 4.823 ადამიანმა, პროცენტულად კი ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლის 32 %-ია.
- **2020 წელს,** ჯამში წარდგენილი იქნა 13 საპროექტო იდეა, მათგან გამარჯვებულად გამოვლინდა 5 პროექტი;
- **2021 წელს,** პროგრამაში წარდგენილი იქნა სულ 234 იდეა, ხოლო გამარჯვებულად გამოვლინდა 81 პროექტი.

აღნიშნული ციფრები გვარწმუნებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო არხების სწორად გამოყენება მოსახლეობის დაინტერესების, მოტივაციის ზრდისა და ჩართულობის მიმართულებით. მიუხედავად 2020-2021 წლებში პანდემიით გამოწვეული წინაღობებისა, პროგრამა უმეტესწილად პასუხობდა სტრატეგიის მთავარ მიზნებს:

სტრატეგიული მიზანი 1: **მონაწილეობითი ბიუჯეტირების არსის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდა;**

სტრატეგიული მიზანი 2: **მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისა და პროექტების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;**

სტრატეგიული მიზანი 3: **მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და მოსახლეობას შორის უკეთესი კომუნიკაციის ჩამოყალიბება.**

4. **იდენტიფიცირებული პრობლემები**

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლინდა რიგი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის სრულფასოვნად განხორხციელდეს გამარჯვებული იდეები, რაც შემდგომში ნეგატიური უკუავშირის საბაბად შეიძლება იქცეს:

4.1 საკანონმდებლო ბარიერები, დროში გაწელილი ნებართვები

პრობლემის გადაჭრის გზად გვესახება მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მიერ, მსგავსი ტიპის რისკების წინასწარ გაზომვა, სიტუაციური ანალიზისთვის ინფორმაციის მოკვლევა და პრევენციული გადაწყვეტილებების მიღება. ასევე, მნიშვნელოვანია მსგავსი შემთხვევის დროს, კომუნიკაციის წარმოება იდეის ავტორთან, კონკრეტულ სოფელთან, ან დასახლებასთან და ინფორმაციის დეტალურად მიწოდება საკითხის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე.

4.2 სახელმწიფო შესყიდვები, პროექტის განხორციელების რისკები

მსგავსი ტიპის რისკი თან ახლავს ნებისმიერი პროექტისა თუ იდეის განხორციელებას, შესაბამისად სათათბირო ორგანომ, თვითმმართველობის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, უნდა განსაზღვროს გონივრული ვადები და დასახოს ალტერნატიული გზები, წინასწარ შეიმუშავოს სამოქმედო გეგმის ვარიანტები.

4.3 ვერ განხორხციელებული პროექტები

მსგავსი დამდგარი შედეგის დროს, მნიშვნელოვანია დროული კომუნიკაციის წარმოება მოსახლეობასთან და მათთან ერთად მსჯელობა გამომწვევ მიზეზებზე, ალტერნატიულ გზებზე. მაქსიმალური საჯაროობა და საკითხის ირგვლივ დისკუსია ხელს შეუწყობდა ვერგანხორციელებული პროექტის მიმართ გადაჭაარბებული მოლოდინების რისკების დაზღვევას და დასახლებაში ფაქტის მიმღებლობის განცდას შეუწყობდა ხელს.

4.4 კომუნიკაციის ციკლის დარღვევა, ასათვისებელი თანამედროვე ტექნოლოგიები

არასანიქრონულობა და ქაოტური კომუნიკაცია, პოტენციურად სერვისით მოსარგებლეებში ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბების, დეზინფორმაციის და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის წყაროდ შეიძლება იქცეს. სწორად გამოყენებული შერეული საკომუნიკაციო არხები, მოსახლეობის გამოკითხვა და მათი აზრის მოსმენა ამ პროცესის აუცილებელი ნაწილია.

პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში ციფრული ტექნოლოგიები, ელოქტრონული მართვის პროცესი. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის რეკომენდაცია ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიაში ვრცლად არის მოცემული, ერთ-ერთი ასეთი ციფრული წიგნიერებაა. პრობლემის გადაჭრის გზად გვესახება მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად გადაამზადოს შესაბამისი ადამიანური რესურსი და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი თანამედროვე საკომუნიკაციო არხების დანერგვას.

5. სტრატეგიის განხორციელების პრინციპები

კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მონაწილეობითი დემოკრატია;
- გამჭვირვალობა და საჯაროობა;
- ორმხრივი კომუნიკაცია;
- თანმიმდევრულობა და სინქრონულობა;
- შედეგზე ორიენტირება;
- თანასწორობა.

6. სტრატეგიული მიმართულება, ხედვა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო

<u>მიმართულება:</u> საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებულები არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.
ქედის მუნიციპალიტეტში უკვე დანერგილი პროგრამის - ,,მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი ბიუჯეტირების პროცესში“, კომუნიკაციის სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა: საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთოს ის საზოგადოებრივი დაკვეთა და მოლოდინები, რომელიც არსებობს, როგორც მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტთან მიმართებაში, ასევე პროგრამის ეტაპობრივად დახვეწისა და განვითარების მიმართ.

<u>ხედვა:</u> მომდევნო წლებისათვის, პროგრამის განხორციელების პროცესში, ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა 50 %-ზე მაღალია და ადგილობრივი საჭიროებების მოგვარების საკითხების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მაღალი ნდობით გამოირჩევა.

<u>სტრატეგიის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო:</u> საკომუნიკაციო სტარატეგიასა და სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია მერიის

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, ხოლო ზედამხედველობას უწევს და კოორდინაციაშია, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭო.

7. სტრატეგიის მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ინკლუზიურ დემოკრატიას, საჯარო სექტორის მოდერნიზაციას, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს დემოკრატიულ დიალოგსა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს.

7.1 სტრატეგიული მიზანი 1 - *მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ეტაპობრივი ზრდა;*

რაც გულისხმობს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა, თვითმმართველობასთან ერთად, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი.

ამოცანა 7.1.1 - ყოველწლიურად, პროგრმის განხორციელების პროცესში, მოქალაქეთა ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა

საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭომ, თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან კოორდინაციით, უნდა დანერგოს მდგრადი და კომპლექსური მექანიზმი, რომელიც მოიცავს: საზოგადოების ფართოდ ინფორმირებას და საკომუნიკაციო არხების დახვეწას, ანგარიშს - საჯაროობას და ფინანსური უზრუნველყოფის გეგმას.

აქტივობა1.1.1. პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა;

აქტივობა 1.1.2. პერმანენტულად მოსახლეობის აზრის კვლევა და საჭიროებების გამოვლენა;

აქტივობა 1.1.3 სათათბირო ორგანოს გაძლიერება/ეფექტური გუნდის ჩამოყალიბება.

7.2 სტრატეგიული მიზანი 2 - *ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის ეფექტური თანამშრომლობისა და ორმხრივი კომუნიკაციის განმტკიცება;*

რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში უკვე ჩართულ მოქალაქეებთან შეინარჩუნდეს მუდმივი და ორმხრივი კომუნიკაცია, ხოლო პარალელურად, პასიურ მოქალაქეებში გააჩინოს სურვილი და მოტივაცია, რომ რეალურად თითეული მოქალაქე არის თვით-მმართველი და მათი მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში შედეგის მომცემია.

ამოცანა 7.2.1 - პროგრამის მიმართ მოქალაქეებში მოლოდინის გამართლება, სანდოობის ზრდის და პოზიტიური უკუკავშირის ხელშეწყობა

მომდევნო წლის პროგრამაში გათვალისწინების მიზნით, საკოორდინაციო ჯგუფმა ყოველწლიურად უნდა შეაფასოს საზოგადოებასთან მის მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო ფორმები და მიღებული შედეგები, ასევე, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში გამოკვეთოს ის საზოგადოებრივი დაკვეთა და მოლოდინები, რომელიც არსებობს ადგილობრივებში და წარუდგინოს მუნიციპალიტეტის მერს და სამუშაო ჯგუფს.

აქტივობა 1.1.1 პროგრამის განხორციელების პროცესში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვის ხელშეწყობა;

აქტივობა 1.1.2 ორმხირვი დიალოგი, მოქალაქეთა აზრის გათვალისწინება და მათი რეალური მონაწილეობის განცდის ამაღლება;

აქტივობა 1.1.3 მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებზე ცნობიერების ამაღლება/საგანმანათლებლო აქტივობები.

7.3 **სტრატეგიული მიზანი 3** - ***თანამედროვე საკომუნიკაციო არხების დანერგვის ხელშეწყობა, ელექტრონული რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა***

სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების წარმატებით განხორციელება მოითხოვს კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმების და თანამედროვე, ორმხრივი საკომუნიკაციო არხების გამართვას.

ამოცანა 7.3.1 - როგორც მუნიციპალიტეტში, ასე მის გარეთ მცხოვრები, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის ინფორმირების, მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობის ხელშეწყობა

მიზნის მიღწევა შესაძლებელია გონივრულ ვადაში გაწერილი, ეტაპობრივად განხორციელებადი ღონისძიებებით, ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

<u>აქტივობები</u>: აღნიშნული დოკუმენტი, როგორც თავშივე აღინიშნა, წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის ნაწილს, სადაც დეტალურად არის აღწერილი ახალი საკომუნიკაციო არხების დანერგვის რეკომენდაციები და მათი განხორციელების გზები:

- **Online კომუნიკაცია**

მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულო ონლაინ პლატფორმებად განისაზღვრა:

- Wikipedia;
- Facebook;
- Twitter;
- Instagram;
- Youtube/Vimeo ;
- Linkedin;
- ადაპტირებული ვებგვერდი.

თუ რომელი პლატფორმა პასუხობს მოსახლეობის დაკვეთას, განსაზღვრავს და პროგრამის კომუნიკაციის ციკლის ნაწილად დანერგავს, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საკოორდინაციო საბჭოსთან შეთანხმებით.

ასევე, მნიშვნელოვანად გაამრავალფეროვნებდა საკომუნიკაციო პროცესს, ისეთი სერვისების დანერგვა, როგორიცაა:

- LIVE ტრანსლაცია;
- საინფორმაციო ელექტრონული დაფები;
- SMS სერვისი;
- E-mail კომუნიკაცია და ელექტრონული ბიულეტენი;
- მობილური კავშირი მოქალაქეებთან დასახლების, ასაკობრივი და თემატური ჯგუფების მიხედვით;
- ფორუმი/ჯგუფი მობილური შეტყობინებების აპლიკაციაში (Viber channel და მსგავსი);
- ცხელი ხაზი და სატელეფონო ცენტრი.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვა.

მუნიციპალიტეტმა მომდევნო 3 წლის განმავლობაში, უნდა იზრუნოს ისეთი სერვისის დანერგვაზე, რომელიც პროგრამის კენჭისყრის პროცესში, მოქალაქეებს ელექტრონული ხმის მიცემის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული პლატფორმა მნიშვნელოვნად დაეხმარება პროგრამას მონაწილეობის მზარდი დინამიკის შენარჩუნებაში და ასევე, პანდემიური გამოცდილების გათვალისწინებით, მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას დისტანციურად გახდნენ პროცესის უშუალო თანამონაწილეები.

8. SWOT ანალიზი

ქედის მუნიციპალიტეტის SWOT-ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე, საფრთხეები და შესაძლებლობები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- <u>ძლიერი მხარეები:</u>

  - **2020 -2021 წლის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება;**

    მუნიციპალიტეტს უკვე გააჩნია პროგრამის განხორციელების ორწლიანი გამოცდილება, მოქალაქეებთან კომუნიკაციითა და მათი ჩართულობით, როგორ უნდა განხორციელდეს საპროექტო იდეები. აგრეთვე, მოსახელობის გარკვეულ ნაწილს აქვს მეტ-ნაკლები ცოდნა და გამოცდილება, თუ როგორ უნდა ჩაერთოს ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, როგორ უნდა მოახდინოს პრობლემის იდენტიფიკაცია, შეადგინოს პროექტი და შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით, განახორციელოს ის.

  - **მოქალაქეთა მონაწილეობით განხორციელებული პროექტები, დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება**

    ქედის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერით, მოსახლეობას უკვე აქვს განხორციელებული არაერთი პროექტი, რომლითაც ადგილობრივი საჭიროებები (გზა, წყალმომარაგება, გარეგანათებადა ა.შ.) მოგვარდა.

  - **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან / სამიზნე ჯგუფებთან**

    ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობა აქვთ დამყარებული სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან - არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდულ ჯგუფები, მედია, სათათბირო ორგანოები - სამოქალაქო მრჩეველთა და გენდერული თანასწორობის საბჭოები. ასევე, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხანდაზმულთა კლუბი, ქალთა ოთახი, ადგილობრივი განვითარების ჯგუფი „ლაგი“, რომლებიც აქტიურ კომუნიკაციაში არიან ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

  - **სიახლეებისადმი მიმღებლობა**

    მუნიციპალიტეტს აქვს ახალი იდეებისა და ინიციატივების დანერგვისადმი მაღალი მიმღებლობა. ქედის მუნიციპალიტეტი ასევე, ერთ-ერთია იმ რამდენიმე მუნიციპალიტეტთან ერთად, რომელმაც მზაობა გამოთქვა დაენერგა

მონაწილეობითი ბიუჯეტის პროექტი, რაც წარმატებულ მაგალითად იქცა რეგიონის მასშტაბით. 2022 წლიდან კი ქედის მერია საპილოტედ ახორციელებს გენდერულ ბიუჯეტსაც, რომელსაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება უჭერს მხარს.

- **გუნდური მუშაობის გამოცდილება/კრიზისის მართვის გამოცდილება**

  მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გუნდური მუშაობის მაღალი გამოცდილება აქვთ, რასაც 2020-2021 წლებში პროგრამის წარმატებით განხორციელება მოწმობს. სათათბირო ორგანოს გუნდური მუშაობის წყალობით დაძლეული იქნა პანდემიით გამოწვეული ბარიერები და არსებული კრიზისები. სწორად გადანაწილებული ფუნქციების მეშვეობით პროექტი შედგა და საზოგადოებაში გაჩნდა განცდა მისი ლოგიკური განვითარების.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ცნობადობა საზოგადოებაში**

  ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებს მოსახლეობაში აქვთ საკმაოდ მაღალი ცნობადობა. ცხადია, ეს მაღალი სანდოობის პირდაპირპროპორციული არ არის, თუმცა, სამომავლოდ საკომუნიკაციო არხების ინტენსიური გამოყენება ნდობის გაძლიერების შესაძლებლობებს გაზრდის.

- **გარე, ნეიტრალური აქტორების უშუალო მონაწილეობა პროგრამის განხორციელების პროცესში**

  საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, პროგრამის საინფორმაციო კამპანიის, კენჭისყრის პროცედურისა და მონიტორინგის ეტაპებს თვითმმართველობის გარე, სახელმწიფო შესყიდვით გამოვლენილი ორგანიზაცია განახორციელებს. 2021 წელს მიღებული გამოცდილებით, ნეიტრალური აქტორების ჩართულობით პროგრამის განხორციელების პროცესი უფრო მეტად ორგანიზებული გახდა, ხოლო მოქალაქეთა მხრიდან პროგრამის მიმართ ნდობის ამაღლებას შეუწყო ხელი.

- <u>სუსტი მხარეები:</u>

- **მოქალაქეთა დაბალი ცოდნა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების და თვითმმართველობის კომპეტენციების შესახებ**

  მიუხედავად გარკვეული გამოცდილებისა, ადგილობრივ მოსახლეობაში მაინც დაბალია ცოდნა მონაწილეობის იმ ფორმების შესახებ, რომელიც მათ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ აქვთ მინიჭებული. მოქალაქეთა ნაწილს არ აქვს ცოდნა ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების შესახებ. პრობლემის აღწერა და მისი გადაჭრის გზები ვრცლად არის მიმოხილული ქედის მუნიციპალიტეტის კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტში.

- **დაბალი ინტერესი ერთობლივი საჯარო საკითხების მიმართ/პასიური მოქალაქე**

  ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმებისა და შესაძლებლობების შესახებ მოქალაქეთა დაბალი ცოდნის გამო, დღესაც ქედის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა ინტერესი და მზაობა საჯარო საკითხების ერთობლივად გადაწყვეტის მიმართ დაბალია. აღნიშნული პრობლემა ვლინდება ყველა ასაკობრივ ჯგუფში, მათ შორის, ახალგაზრდებშიც. არასათანადო ინფორმირებულობა, მუნიციპალური ორგანოებისადმი საკმაოდ დაბალი სანდოობა და არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად ნაკლები კომუნიკაცია თვითმმართველობის მხრიდან, მოქალაქეთა პასიურობის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს.

  ვითარების გათვალისწინებით, მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად, უნდა დაიგეგმოს პერმანენტული საგანამანათლებლო/საინფორმაციო კამპანიები. ვინაიდან მოსახლეობის ჩართულობის ზრდის პროცესი საჭიროებს მუდმივ დაკვირვებას და ცვლილებას.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაბალი სანდოობა**

  მიუხედავად მუნიციპალური ორგანოების მაღალი ცნობადობისა, მათი, როგორც საჯარო უწყებების სანდოობა, მაინც დაბალია. მოქალაქეების ნაწილს არ აქვს განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მათი ინტერესების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს პროექტებს. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების შესახებ დაბალი ცოდნა ხელს უწყობს იმას, რომ ისეთი საკითხების გადაუწყვეტელობაზე პასუხისმგებლობაც კი, რაც თვითმმართველობის კომპეტენციას სცილდება, მაინც მუნიციპალურ ორგანოებს დააკისრონ. თუ ეს მოცემულობა არ შეიცვლება, შესაძლოა მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკომუნიკაციო მიზნების მიღწევის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად დაგვესახოს.

- **საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მწირი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსი, არასრულად ათვისებული საკომუნიკაციო არხები**

  ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება მხოლოდ 2 ადამიანისგან შედგება, საკრებულოს კი ამგვარი სამსახური საერთოდ არ აქვს. კადრების არარსებობის გამო, მერიის ამ სამსახურში

დასაქმებული პირები ითავსებენ როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ისე პრესსამსახურის ფუნქციას, მართავენ მუნიციპალიტეტის ვებ და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდებს, გეგმავენ და აშუქებენ ღონისძიებებს და ა.შ. გარდა ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს არ აქვს სრულფასოვანი ტექნიკური აღჭურვილობა და ასევე, მინიმალისტურია ფინანსური რესურსი იმისათვის, რომ აწარმოოს კამპანიები, მოამზადოს სარეკლამო რგოლები და ა.შ.
შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლების არარსებობის გამო სამსახურს არასრულად აქვს ათვისებული ის საკომუნიკაციო არხები, რომლის გამოყენებაც პროგრამის განხორციელებისას შეუძლია.

- **ინტერნეტიზაცია - ინტერნეტრესურსებზე 65+ მოქალაქეების დაბალი ხელმისაწვდომობა**

მუნიციპალიტეტს ამ დრომდე დღისწესრიგში უდგას ინტერნეტიზაციის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა სმარტფონებით ახერხებს ინტერნეტრესურსებზე ხელმისაწვდომობას, სერვისის მიღმა რჩებიან მოწყვლადი ჯგუფები. თუ ჩვენს სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მქონე, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ნებისმიერი მოქალაქე, ამ სერვისის მიღმა ძირითადად ხანდაზმულები რჩებიან.

- **თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება**

ინფორმაციული ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება მსოფლიო მასშტაბით, შესაბამისად მზარდია თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის მოთხოვნილებები. თუ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის წარმატების საფუძვლად გვესახება მოქალაქეებთან სწორი და ეფექტური კომუნიკაცია, თანასწორ უფლებებზე დაფუძნებით, მაშინ საკომუნიკაციო პროცესში ასახული უნდა იყოს ყველა ინკლუზიური ჯგუფის მოთხოვნები.
უკვე აღინიშნა პროგრამის განხორციელებისას არასრულად ათვისებული საკომუნიკაციო არხების შესახებ, მათ შორის არ არის დანერგილი თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობები, თუმცა ხაზგასასმელია პროგრამის ძირითადი ნაკლოვანება - ელექტრონული ხმის მიცემის პლატფორმის არ არსებობა, რომელიც პოზტიურად წაადგებოდა მოქალაქეთა დისტანციურ ჩართულობას იდეების კენჭისყრის პროცესში.

- <u>შესაძლებლობები:</u>

- **თანამშრომლობის გაძლიერება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან**

ქედის მუნიციპალიტეტს არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან არაერთი მხარდაჭერა აქვს, შესაბამისად მუნიციპალიტეტში განხორციელებულია

და ახლაც მიმდინარეობს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც, მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდისა და მათი საჭიროებების გადაწყვეტისკენაა მიმართული. შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობას, ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერებით, ეძლევა შესაძლებლობა, ჩართოს ისინი როგორც მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების, ისე მონიტორინგის პროცესში.

- **არსებული ონლაინ რესურსების ინტენსიური გამოყენება**

  მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არსებული ონლაინ-რესურსების სწორი გამოყენებით, შესაძლებელია, გაიზარდოს აუდიტორიის დაფარვის ხარისხი, მოხდეს კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ონლაინ გაშუქება, შეიქმნას მოქალაქეებთან უკუკავშირის ეფექტური მექანიზმები, გაძლიერდეს მერიის არსებული სოციალური მედიის რესურსი. ამასთანავე შესაძლებელია, შეიქმნას ეფექტური პლატფორმა იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც მუნიციპალიტეტიდან სასწავლებლად, ან სხვა მიზეზით არიან წასულები, რომ აქტიურად ჩაერთონ პროგრამის განხორციელების პროცესში.

- **პირდაპირი კომუნიკაციის გაუმჯობესება/პოზიტიური უკუკავშირი**

  პირდაპირი კომუნიკაცია მოქალაქეებთან თვითმმართველობის ერთ-ერთი შესაძლებლობაა. შესაბამისად, ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად გაწეული ძალისხმევა მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს, უფრო ინტენსიური გახადოს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, მიიღოს ადეკვატური უკუკავშირი, ჩართოს რაც შეიძლება მეტი მოქალაქე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში, რაც პროგრამის წარმატების უმთავრესი პირობაა.

- **მოტივირებული გუნდი**

  მერიასა და საკრებულოს ჰყავს მოტივირებული გუნდი, რომელიც მზად არის, მიიღოს ახალი გამოწვევები და აქტიურად ჩაერთოს განხორციელების პროცესში.

- **გარე აქტორთა ჩართულობის გაძლიერება, შიდა კომუნიკაციის სისტემატიზაცია**

  მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო მრჩეველთა, გენდერული თანასწორობის და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების, ქალთა ოთახის, ხანდაზმულთა კლუბის, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის, ახალგაზრდების, ადგილობრივი ფერმერების, კულტურის სფეროს წარმომადგენლების და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განხორციელების პროცესში, ხელს შეუწყობს უკვე ჩართულ მოქალაქეებთან მუნიციპალიტეტმა შეინარჩუნოს მუდმივი და ორმხრივი კომუნიკაცია.
  რაც შეეხება, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მიერ შიდა კომუნიკაციის სისტემატიზაციას, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სწორი

მიდგომები, არამედ შესაძლებლობების გაზომვა, ფუნქციების შეფასება და სამუშაო პროცესის ეფექტურად მართვა.

<u>საფრთხეები:</u>

- **მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის არჩევნებთან დაკავშირება**

  რადგან 2020 -2021 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა პოლიტიკური არჩევნების პარალელურად განხორციელდა, გამოცდილებამ აჩვენა რა დიდი ძალისხმევა სჭირდება საინფორმაციო კამპანიის წარმოებას, რომ პროგრამა არ დაეკავშირებინათ საარჩევნო დაპირებასთან. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა ასევე პოლიტიკურ, ან სამოქალაქო ჯგუფს პროგრამა წინასაარჩევნო კამპანიად არ გამოეცხადებინა. საფრთხე კვლავ რეალურია შემდეგ წლებშიც, ამიტომ მეტი გამჭვირვალობისა და საჯაროობის მისაღწევად, პროგრამის მონიტორინგში უნდა ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები.

- **პროექტების სიმცირე და მოქალაქეთა პასიურობა**

  შესაძლებელია მუნიციპალიტეტში მოქალაქეებმა წინა წლებთან შედარებით არ გამოიჩინონ მაღალი აქტიურობა და მინიმალური საპროექტო იდეები დაარეგისტრირონ, ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ჩაერთოს პროექტების კენჭისყრის პროცესში. ამ რისკის თავიდან ასაცილებლად, საბჭომ და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, პერმანენტულად უნდა აწარმოონ განწყობის კვლევა ადგილობრივებში და ანალიზის საფუძველზე დაგეგმონ მოტივაციის ზრდის ხელშემწყობი აქტივობები. საინფორმაციო კამპანიების, პირდაპირი კომუნიკაციისა თუ სხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით, უნდა გაწიონ მაქსიმალური ძალისხმევა, რათა პროგრამის განხორციელების არეალში მეტი პასიური მოქალაქე დააინტერესონ და აქციონ პროგრამის მხარდამჭერ აქტორად.

- **მოუგვარებელ საკითხთა წრე**

  მუნიციპალიტეტში არსებობს გადაუწვეტელი საკითხები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას სცილდება, თუმცა, მოსახლეობა ამ პრობლემების მოუგვარებლობის გამო პასუხს მუნიციპალურ ორგანოებს სთხოვს. პირველ რიგში, დასახლებების მიხედვით შესასწავლია ყველა ასეთი საკითხი და დასასახია გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხების გადაწყვეტა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყებების ჩართულობით. ამასთან, მოსახლეობას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნება ესა თუ ის მოუგვარებელი პრობლემა და რას აკეთებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ამისთვის, რათა შესაბამისმა უწყებებმა აღნიშნული საკითხები მოაგვარონ.

- **გარე საფრთხეები:**
  საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, რომლებმაც შესაძლოა პროგრამის განხორციელების შეწყვეტის ან შეჩერების საფუძვლად იქცეს:
  - ქვეყანაში საომარი ვითარება;
  - გლობალური საფრთხე - პანდემია, გადამდები ავადობები;
  - ლოკალური და გეოპოლიტიკური პროცესები;
  - ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები;
  - კიბერსაფრთხეები;
  - ეკოლოგიური გამოწვევები.

9. სამიზნე აუდიტორია

მუნიციპალიტეტისთვის პირველად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობა:

- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, მონაწილეობის ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში, ჩატარებულ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ენიჭება ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრებულ, არჩევნებში ხმის უფლების მქონე ნებისმიერ მოქალაქეს.

მეორად აუდიტორიას წარმოადგენენ - მოქალაქეები, რომლებიც არ არიან ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მაგრამ სურვილი აქვთ პროგრამის განხორციელებისას წარადგინონ პროექტები/იდეები, რომელიც მიზნად ისახავს ქედაში საზოგადოებრივი სიკეთის შექმნას:

- ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა, კონკრეტულად წარმოადგინონ საპროექტო იდეები, ეძლევა ნებისმიერ ადამიანს 14 წლიდან ზემოთ, მიუხედვათ მათი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციისა.

ვინაიდან, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართვა შეუძლიათ 14 წლიდან ზემოთ მოქალაქეებს, ამიტომ მათთან კომუნიკაციისას აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს ასაკობრივი ნიშანი, მათი ინტერესები, ინფორმაციის მიღების არხები.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტიდან 18-24 წლის ახალგაზრდების მიგრაცია მაღალია. ისინი სასწავლებლად სხვადასხვა ქალაქში არიან წასულები, თუმცა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამაში ჩართვა მათ ისევე შეუძლიათ, როგორც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვა ადამიანებს. ამიტომაც, ამ ჯგუფისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად შესაბამისი საკომუნიკაციო არხები უნდა იყოს გამოყენებული.

10. არსებული საკომუნიკაციო არხები

- პირდაპირი/საჯარო შეხვედრები;
- „კარდაკარ“ კომუნიკაცია;
- ოფიციალური ვებგვერდი www.keda.gov.ge;
- Facebook- იყავი თვითმმართველი;
- მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდები;
- ონლაინ სააგენტოები;
- მედია: აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია TV 25, ონლაინგამოცემა „ბათუმელები“, გაზეთი „აჭარა“;
- რადიო ,,აჭარა“;
- ჟურნალი ,,ქედა“;
- რეგიონში ცენტრალური არხების ოფისები;
- პროგრამაში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური ქსელები;
- ქედის მერიის მუნიციპალური ორგანიზაციების ინტრენეტ რესურსები;
- მერის წარმომადგენლების ოფისები ადმინისტრაციულ ერთეულების მიხედვით;
- ოფიციალური ელ-ფოსტები;
- მობილური კავშირი;
- ბილბორდები, საინფორმაციო პლაკატებისთვის გამოყოფილი ადგილები;
- თვითმმართველობის კანცელარია.

არსებული საკომუნიკაციო არხების დასახვეწად, რეკომენდაციები მოცემულია მთავარ საკომუნიკაციო სტრატეგიაში, კერძოდ:

- ფიზიკიკური კომუნიკაცია მოქალაქეებთან - სპიკერის განსაზღვრა, გზავნილის ჩამოყალიბების ფორმა;
- ადაპტირებული საინფორმაციო (ელექტრონული) დაფები, ბილბორდები;
- ბეჭდური პროდუქცია - კარდაკარ, სახლში მიტანის სერვისით;
- ეფექტური ანგარიშებისა და პრეზენტაციების მომზადება;
- კომუნიკაცია მედიასთან - სტრატეგიული მიდგომები;
- სოციალური მედიის მართვა - ახალი არხების დანერგვა;

11. საინფორმაციო კამპანია

ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკონსულტაციო საბჭოს უმთავრესი ამოცანაა, 2022 წლიდან მომდევნო სამი წელი, აწარმოოს აქტიური საინფორმაციო კამპანია და მოქალაქეებს მკაფიოდ აუხსნას თუ რა საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა შეუძლია პროგრამას, მათივე თანამონაწილეობით. საინფორმაციო კამპანიის სწორად წარმართვა, ერთის მხრივ, საფუძველი გახდება მოქალაქეთა აქტიურობის გაზრდისა, ხოლო მეორე მხრივ, შეამცირებს იმ საფრთხეებს, რომელიც პროგრამის განხორციელებისას, შესაძლოა, წარმოიშვას (იხ. საფრთხეები).

- <u>ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:</u>
  - მონაწილეობითი ბიუჯეტის არსს, მის ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს;
  - მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამისთვის მერიის მიერ დადგენილ პრიორიტეტებს;
  - მონაწილეობითი ბიუჯეტის დაგეგმვის ზონებში ფინანსური რესურსების გადანაწილების შესახებ;
  - პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებსა და წესებს;
  - საპროექტო იდეების წარდგენის ვადებს;
  - კენჭისყრის პროცედურას;
  - მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელების პროცესში მოქალაქეების მიერ მონიტორინგის შესაძლებლობებს;
  - განხორციელებული პროექტების ილუსტრაციას, მოკლე ინფორმაციას;
  - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების/კომპეტენციები შესახებ ინფორმაციას.

12. საინფორმაციო კამპანიის ეტაპები/პასუხისმგებელი ორგანოების ვალდებულებები

საინფორმაციო კამპანია სამ ეტაპს მოიცავს: დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება. წარმოგიდგენთ თითოეული ეტაპის ინფორმაციის მიმოქცევის ციკლს:

12.1 პირველი ეტაპი - საინფორმაციო კამპანანიის დაგეგმვა

- **ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულებები:**
  - საინფორმაციო კამპანიის განმხორციელებელი ორგანიზაციის შესარჩევად, ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ კომუნიკაციის სტარატეგიაში გაწერილ პუნქტებზე დაყრდნობით, უნდა განსაზღვროს კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ორგანიზაცია და წარუდგინოს საკონსულტაციო საბჭოს დასამტკიცებლად;

- ტრადიციულ და სოციალურ მედიაში, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უნდა უზურნველყოს ინფორმაციების გავრცლება სამოქალაქო ბიუეჯიტირების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება ტრადიციულ (ტელე, რადიო, ბეჭდური) მედიის საშუალებით;
- აქტიურად განათავსოს სოციალურ მედიაში საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეო და სიანფორმაციო რგოლები, ელექტრონული ბანერები, პოსტერები და ა.შ.
- უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო რგოლების განთავსება აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების საფუძველზე.

<u>რეკომენდაცია:</u>

- იზრუნოს ახალი, თანამედროვე საკომუნიკაციო არხების ეტაპობრივად ათვისებასა და დანერგვაზე.
- შემოიკრიბოს მოხალისე ინფორმაციის გამავრცელებელი (მოსწავლეები, სტუდენტები);
- ტრადიციულ დღესასწაულებზე უზრუნველყოს პროგრამის საინფორმაციო სტენდის ორგანიზება.

- **საკოორდინაციო საბჭოს ვალდებულებები:**

- მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეშვეობით, ოფიციალურ ქსელებში განათავოს პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გაავრცელოს ინფორმაცია გამარჯვებული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო კამპანიას;
- მოაწყოს საჯარო განხილვა და დაამტკიცოს საინფორმაციო კამპანიის განმხორცილებელი ორგანიზაციის წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა;
- ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელოს მიმდინარე საინფორმაციო კამპანიის მონიტორინგი;
- პერმანენტულად აწარმოოს ონლაინ და სატელეფონი კონსულტაციები.

<u>რეკომენდაცია:</u>

- საინფორმაციო კამპანიის დამწყებამდე საბჭომ, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთან/აიტი სამსახურის ჩართულობით, უნდა მოამზადოს ონლაინ პლატფორმა, რომლის მეშვეობით განხორციელდება საბჭოს სხდომების ტრანსლირება ოლაინ რეჟიმში;

- გაწეროს მექანიზმი, რომელიც უზურნველყოფს ონლაინ რეჟიმში მოქალაქეებისთვის კითხვა/პასუხის რეჟიმში კომუნიკაციას.

- **საინფორმაციო კამპანიაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ვალდებულებები:**
- მოამზადოს და საკონსულტაციო საბჭოს წარუდგინოს დასამტკიცებლად საინფორმაციო კამპანიის ჩატარების სამოქმედო გეგმა/ღონისძიებათა კალენდარი;
- მოამზადოს სატელევიზო საინფორმაციო ვიდეო რგოლი - ანონსი მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის დაწყების შესახებ;
- მოამზადოს საინფორმაციო ფლაირები, რომელშიც გადმოცემული იქნება სამოქლაქო ბიუჯეიტრების განხორცილების ძირითადი ასაპექტები და უზრუნველყოს მისი გავრცელება მუნიციპალიტეტის მასშტაბით;
- მოამზადოს ბეჭდური მასალა მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებასთან შეთანხმებით - პოსტერები, ბილბორდები და უზრუნველყოს მათი განთავსება მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში;
- მოამზადოს და განათავსოს ცენტრალურ და რეგიონალურ მედია ონლაინ გამოცემებში საინფორმაციოს სტატიები;
- მოქალაქეებს მიაოწდოს ინფორმაცია თვითმმართველობის კომპეტენციებზე, გააცნონ იდეების წარდგენის და კენჭისყრის ჩატარების წესები, კარდაკარ კამპანიის ფარგლებში გადასცენ განაცხადის ფორმები, რომელთა შევსება სავალდებულოა იდეების წარდგენისას;
- აწარმოოს აღრიცხვა იმ ოჯახების, რომელსაც მიაწოდეს ინფორმაცია სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის შესახებ, მონაცემები მიეწოდოს საკოორდინაციო საბჭოს;
- დაგეგმოს და ჩაატაროს თითოეულ დასახლებაში მინიმუმ 2 საჯარო შეხვედრა (ხანგრძლივობა 1 – 1.5 სთ.);
- დაგეგმოს და ჩაატაროს მინიმუმ 30 საჯარო შეხვედრები შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებთან:
    - ქალები;
    - ხანდაზმულები;
    - მოსწავლეები/ახალგაზრდები;
    - სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფებთან;
    - პროფესიულ ჯგუფებთან;
    - ფერმერებთან.
- საინფორმაციო საშულებების და ონლაინ პალტორმების მეშვეობით მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია დაგეგმილი კენჭისყრის პროცედურების შესახებ.

<u>**რეკომედნდაცია:**</u>

- მოამზადოს საინფორმაციო რგოლები, რომელშიც ასახული იქნება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიმართვები, წინა წლეებში სამოქალაქი ბიუჯეტირების პროგრამაში გამარჯვებული იდეის ავტორთა მოწოდებები, ქედაში მცოვრები მოქალაქეთა მოსაზრებები პროგრამასთან დაკავშირებით და ა.შ.

12.2 მეორე ეტაპი - საინფორმაციო კამპანიის პროცესი

- **ქედის მერია:**
- უზრუნლევლყოფს პროგრამის ფარგლებში მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი იდეების, მერიის ვებ გვერდზე პროაქტიული წესით ატვირთვას;
- უზურნვლეყოს კენჭისყრის ეტაპზე გადასული პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას;
- უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას სამოქალაქო ბიუჯეტირების პორგრამის ფარგლებში გამარჯვებული იდეების განსახორცილებლად გამოცხდებული სახელმწიფო შესყიდვების, გამარჯვებული კომპანიების და განხორცილების ვადების შესახებ ინფორმაციას.
- სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით, ქმნის საინფორმაციო მასალას პროექტის განხორციელების პროცესის (ან ვერ განხორციელების) შესახებ;
- ავრცელებს ინფორმაციას შესრულებული საქმიანობის შესახებ როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიუციული მედიასაშუალებებით.

- **საკონსულტაციო საბჭო:**
- უზრუნველყოფს კენჭისყრის ეტაპზე ვერ გადასული პროექტების ავტორებისათვის წერილობითი განმარტების მიწოდებას;
- უზრუნველყოფს პროგრამის ოფიციალური ქსელების საშაუალებით, კენჭისყრის შედეგების, მონაწილეობის ამსახველი სტატისკური ინფორმაციის განთავსებას ცალკეული დასახლების მიხედვით;
- გამოავლენს გამარჯვებულ იდეებს, რომლის პროაქტიული წესით გამოაქვეყნებას უზრუნველყოფს სოციალურ ქსელებში;
- უზრუნველყოფს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის განხოციელების საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებას;
- აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ დაგეგმილ მედია კამპანიაში;
- კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალედ წარმართვისთვის იწვევს ადგილობრივ არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებს.

- **საინფორმაციო კამპანიის განმახორციელებელი ორგანიზაცია:**
  - უზრუნველყოფს მოქალაქეებთან აქტიურ კომუნიკაციას (ონლაინ,პირისპირ);
  - უწევენ მოქალაქეებს კონსულტაციებს პროგრამაში ჩართვის მიზნით;
  - უზრუნველყოფს კენჭისყრის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარებას;
  - აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს პროგრამის მსვლელობისას და წარუდგენს საკოორდინაციო საბჭოს;
  - გამოავლენს პროგრამის განხორციელების ხელისშემშლელ და ძლიერ ფაქტორებს;
  - ამზადებს საბოლოო ანგარიშს, სადაც ასახავს მოსახლეობის განწყობის შესახებ ინფორმაციას შემდგომი რეაგირების მიზნით.

13. საჭიროებები და რეკომენდაციები

- იმისათვის, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიით დაგეგმილი კამპანიებისა და ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელი გახდეს, პერმანენტულად უნდა გადამზადდნენ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საბჭოს წევრები, ახალი წევრის მიღება/ჩანაცვლება სასურველია კონკურსის წესით განხორციელდეს;
- ვინაიდან საკომუნიკაციო სტრატეგიის აღსრულება, ძირითადად, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას უხდება, უნდა გაიზარდოს როგორც ადამიანური (ჟურნალისტი/ქოფირაითერი, ფოტოგრაფი/ოპერატორი, სოციალური მედიის მენეჯერი), ასევე ტექნიკურ-მატერიალური რესურსი. აქტიურად გადამზადდნენ თანამშრომლები იმისათვის, რომ სწორად და ეფექტურად წარმართონ საინფორმაციო კამპანიები, დაინერგოს თანამედროვე საკომუნიკაციო არხები.
- პერმანენტული საგანმანათლებლო აქტივობა - მაგალითად: ,,მოქალაქის სკოლა აქტიური მოქალაქეობისათვის“, რომელიც შეიძლება განხორციელდეს GIZ-ის მხარდაჭერით დაფუძნებულ ქედის ციფრული წიგნიერების ცენტრში. ,,სამოქალაქო განათლების ფორუმი“ ან ინფო-ტურები სამოქალაქო საზოგადოებისათვის და ა.შ.
- საშუალო ვადიან ხედვაში, მთავარ სტრატეგიაში გაწერილი ბრენდ პლატფორმების შექმნისას, პროგრამის ვიზუალური მასალის რებრენდინგი.

14. ანგარიშგება, შეფასება, მონიტორინგი

მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების მთავარი მიზანია პროგრამის ეფექტიანობის ამაღლება.

<u>ანგარიშგება:</u> სტრატეგიის განხორციელების შესახებ ანგარიშები მომზადდება პერიოდულად, შეფასდება სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევები და საჭიროებისამებრ მოხდება ცვლილებების შეტანა. ანგარიში მომზადდება წელიწადში ორჯერ: შუალედური და საბოლოო (შესაძლოა ეს იყოს პრეზენტაციების სახითაც).

იმისათვის, რომ გაიზომოს მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის კომუნიკაციის სტრატეგიით დაგეგმილი კამპანიებისა და ღონისძიებების ეფექტიანობა, თითოეული საინფორმაციო კამპანიის დასრულების შემდეგ ჩატარდება ონლაინ და სატელეფონო გამოკითხვა.

<u>მონიტორინგი იქნება სამფაზიანი და გამოავლენს:</u>

- მოსახლეობის ინფორმირების დონეს და განწყობებს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის შესახებ;
- საპროექტო იდეებისა და პროექტების წარდგენის შემდეგ მოსახლეობის ინფორმირების დონეს, საჭიროებებს;
- კენჭისყრის პროცესში მოქალაქეთა აქტიურობის ხარისხს.

<u>მონიტორინგის შეფასება</u> დაეხმარება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის საკოორდინაციო საბჭოს, განსაზღვროს, რამდენად მოხერხდა მოლოდინების გამართლება და შეიტანოს შესაბამისი კორექტივები მომდევნო წელს განსახორციელებელი პროგრამის პროექტში.

პ.ს. სტრატეგიის განხორციელებაზე საზოგადოება ინფორმაციას მიიღებს როგორს საბჭოს წევრებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით, ასევე ოფიციალური ვებგვერდისა სხვადასხვა მედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით.